ხელშეკრულება №174

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ქ.სიღნაღი 15 ნოემბერი 2011

ერთის მხრივ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომშ„დამკვეთი",ნოდარ კოჭლამაზაშვილის სახით ,ერთის მხრივ და (ა)იპ „ სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი" შემდგომში,შემსრულებელი", მისი დირექტორი მურად ვაშაკიძის სახით, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა SPA110027999 გამარტივებული ელექტონული ტენდერი, ქ.ყვარელში დაგეგმილი „ილიაობის" ღონისძიებაზე სიღნარის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა. რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" სატენდერო წინადადება,საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ, ამ ხელშეკროლებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ქ.ყვარელში დაგეგმილი „ილიაობის" ღონისძიებაზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის ორგანიზება.

II. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3700 ლარს.

2.1 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხორციელდება 15.11.11-18.11.11.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილი – ქ.ყვარელი.

V. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება– ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებით.

VI. ანგარიშსწორება.

6.1 ანაზღაურება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

6.2.ანაზღაურების ადგილი ქ. სიღნაღი

VII. მხარეთა უფლება–მოვალეობანი.

7.1 „შემსრულებელი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრულიდაცვით.

7.2„შემსყიდველი"ვალდებულია:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებლი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

7.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.4.მიმწოდებელივალდებულია:

7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.5„მიმწოდებელს"უფლებააქვს.

7.5.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესასყიდი საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

VIII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს საქონლის ხარისხის ინპექტირება.

8.2. გამოვლენილი დეფექტისა ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინფექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას.

9.1.თუ „მიმწოდებელი"არ ასრულებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებას „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს „მიმწოდებელს" დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს"უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. „მიმწოდებელს"უფლება აქვს ამ ხელშეკრულების მე-VI მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში წერილობითი ფორმით შეტყობინების საფუძველზე თვის ბოლოს „შემსყიდველს" დაარიცხოს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია,ურთიეთშეთანხმების საფუძველზე,თუ ამ ცვლილების შედეგად არ უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

XI. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1.წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხ შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 1 (ერთი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმებას მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლიან მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XII. სხვა პირობები

12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა დაისკით.
12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა (საბანკო) რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	(ა)იპ„სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი
ქ.სიღნაღი	ქ.სიღნაღი
ს/კ 240417223	ს/კ 240418730
სს„ლიბერთი" ბანკის სიღნაღის ფილიალი	„ლიბერთი" ბანკი
კოდი № LBRTGE22	კოდი№LBRTGE22
ანგ№GE45LBO12018142560600	ანგ №34084971
ხელის მომწერნი:	
_____/ნ.კოჭლამაზაშვილი/	_____/მ.ვაშაკიძე /